



შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
GEORGIAN AMERICAN UNIVERSITY, LLC

სამართლის, სოციალური მეცნიერებების და
დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს
2017 წლის 23 იანვრის #1 გადაწყვეტილებით

**შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის,
სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის
(ფაკულტეტის)
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

მუხლის 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (შემდეგში „ქაუ“) სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა (ფაკულტეტი) თავის საქმიანობას წარმართავს „უმალლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ქაუ-ს დებულების, წინამდებარე დებულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
2. დებულება განსაზღვრავს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) სტატუსს, სტრუქტურას, საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ფუნქციებს.

მუხლი 2. სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) სტატუსი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა (ფაკულტეტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად ადმინისტრაციულ და სასწავლო სამეცნიერო ერთეულს, რომელიც სამართლისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ახორციელებს სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას.

მუხლი 3. ქაუ-ს სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ქაუ-ს სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ა. ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების შესაბამისი სასწავლო და საგანმანათლებლო სტანდარტების უზრუნველყოფა;

ბ. საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილების გამოყენებით მაღალკვალიფიციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მომსახურება;

გ. მსოფლიო ბაზრის მზარდი გაფართოების, რეგიონალური სავაჭრო და პოლიტიკური ბლოკების ფორმირების, კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციების განვითარების და ამ პროცესებში საქართველოს ინტეგრაციის ფონზე მაღალკვალიფიციური მეცნიერებისა და პრაქტიკოსი იურისტების მომზადება.

მუხლი 4. ქაუ-ს სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) ფუნქციები

ქაუ-ს სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) ფუნქციებია:

- ა. სამართლის და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და განხორციელება;
- ბ. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება;
- გ. შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭება არსებული საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 5. სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) მართვის ძირითადი ორგანოები

სკოლის (ფაკულტეტის) მართვის ძირითადი ორგანოები და მმართველი სუბიექტებია:

- სკოლის (ფაკულტეტის) საბჭო;
- დეკანი.

მუხლი 6. სკოლის (ფაკულტეტის) საბჭო

1. სკოლის (ფაკულტეტის) საბჭო არის სკოლის (ფაკულტეტის) უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება სკოლის (ფაკულტეტის) აკადემიური პერსონალისაგან;
2. სკოლის (ფაკულტეტის) საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი;
3. სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით;
4. სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს უფლებამოსილება:
 - ა. დეკანის წარდგინებით განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამებს;
 - ბ. დეკანის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის (ფაკულტეტის) სტრუქტურას და დებულებას;
 - გ. ამტკიცებს სკოლის (ფაკულტეტის) ორგანიზაციული და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;
 - დ. ამოღებულია; (#04, 12.03.2019)
 - ე. დეკანის წარდგინებით აყალიბებს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს (ინსტიტუტებს);
 - ვ. ამოღებულია; (#04, 12.03.2019)
 - ზ. განიხილავს სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ხასიათის პროექტებს;

თ. ახორციელებს „უმადლეხი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო აქტებით, უნივერსიტეტის დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 7. სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) დეკანი

1. სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლას (ფაკულტეტს) ხელმძღვანელობს დეკანი;
2. სკოლის (ფაკულტეტის) დეკანს თანამდებობაზე ამტკიცებს პარტნიორთა კრება უნივერსიტეტის პრეზიდენტის წარდგინებით;
3. სკოლის დეკანი შეიძლება იყოს სკოლის (ფაკულტეტის) პროფესორი;
4. სკოლის (ფაკულტეტის) დეკანის უფლებამოსილება:
 - ა. უზრუნველყოფს სკოლაში (ფაკულტეტზე) სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტურად მიმდინარეობას;
 - ბ. თავმჯდომარეობს სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს;
 - გ. აკადემიური საბჭოს რეკომენდაციით შეიმუშავებს სკოლის განვითარების გეგმას და დასამტკიცებლად წარუდგენს პრეზიდენტს;
 - დ. ქმნის სკოლის (ფაკულტეტის) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომისიას და ნიშნავს პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს/თანახელმძღვანელს/კოორდინატორს; (#04, 12.03.2019)
 - ე. ქმნის სკოლის (ფაკულტეტის) დროებით კომისიას დოქტორანტურასა და მაგისტრატურაში სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებით;
 - ვ. ქმნის საკვალიფიკაციო კომისიას, რომელიც მოქმედებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის (ფაკულტეტის) დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში;
 - ზ. სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს;
 - თ. პრეზიდენტის წინაშე შუამდგომლობს სკოლაში (ფაკულტეტზე) აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და მისი წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მოწვევასთან დაკავშირებით;
 - ი. განსაზღვრავს აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების (ლექტორების) ანაზღაურების ოდენობას კანცლერთან შეთანხმებით და დასამტკიცებლად წარუდგენს პრეზიდენტს;
 - კ. შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურას, დებულებას და წარუდგენს სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს;
 - ლ. უნივერსიტეტის პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს იურიდიული კლინიკის დირექტორის კანდიდატურას;
 - მ. ყოველწლიურად წარუდგენს სკოლის საქმიანობის ანგარიშს პარტნიორთა კრებას და პრეზიდენტს;
 - ნ. წარმოადგენს სკოლას (ფაკულტეტს) მესამე პირებთან ურთიერთობაში;
 - ო. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებას.

მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება და განხილვა

1. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის აკრედიტაციის ვადით სკოლის დეკანი აყალიბებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომისიას;
2. კომისიის შემადგენლობა და უფლებამოსილება განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით. (#04, 12.03.2019)

მუხლი 9. სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) სტრუქტურა

1. სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა (ფაკულტეტი) შედგება სასწავლო-სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე ერთეულებისაგან;
2. სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტი) სტრუქტურული ერთეულებია:
 - სადისერტაციო საბჭო;
 - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები (ინსტიტუტები);
 - იურიდიული კლინიკის პროგრამა;
 - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა.

მუხლი 10. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) სტრუქტურული ერთეული, რომელიც ძირითადად ახორციელებს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას;
2. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) ყველა პროფესორი და ასოცირებული პროფესორი;
3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭო;
4. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს და ახორციელებს სადისერტაციო საქმის წარმოებას;
5. სადისერტაციო საბჭო მოქმედებს სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების შესაბამისად.

მუხლი 11. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (ინსტიტუტი)

1. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (ინსტიტუტი) არის სკოლის (ფაკულტეტის) სტრუქტურული ერთეული, რომელიც იქმნება სკოლაში (ფაკულტეტზე) სამეცნიერო კვლევების წარმართვის მიზნით;

2. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (ინსტიტუტი) წარმოადგენს პროფესორთა და მკვლევართა გაერთიანებას; (#04, 12.03.2019)
3. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (ინსტიტუტი) შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტებს, ამზადებს სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებს, აწარმოებს გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების აღრიცხვას და თანამშრომლობს კომერციულ ორგანიზაციებთან ამ ორგანიზაციებში არსებული კონკრეტული ამოცანების მეცნიერული გადაწყვეტის მიზნით.
4. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (ინსტიტუტის) სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება ცენტრის წესდებით.
5. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (ინსტიტუტის) ანგარიშვალდებულია სკოლის დეკანის წინაშე. (#04, 12.03.2019)

მუხლი 12. იურიდიული კლინიკის პროგრამა

1. იურიდიული კლინიკის პროგრამა, როგორც სასწავლო მეთოდი, არის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) შემადგენელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კურსების ფარგლებში სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და პროფესიული გამბედაობის გამომუშავებას;
2. იურიდიულ კლინიკის პროგრამას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც სკოლის (ფაკულტეტის) დეკანის წარდგინებით ნიშნავს პრეზიდენტი;
3. იურიდიული კლინიკის პროგრამა ხელს უწყობს უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენების უფასო სამართლებრივი მხარდაჭერის გზით.

მუხლი 13. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა

1. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა ხელს უწყობს სკოლის (ფაკულტეტის) ფარგლებში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის განხორციელებას;
2. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს სკოლის (ფაკულტეტის) დეკანის წარდგინებით ნიშნავს პრეზიდენტი;
3. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სკოლის (ფაკულტეტის) პროფესორი;
4. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი უფლებამოსილია:
 - ა. შეიმუშაოს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები;
 - ბ. შეიმუშაოს სკოლის (ფაკულტეტის) სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტიურის დებულება და დასამტკიცებლად წარუდგინოს სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს.

მუხლი 14. სკოლის (ფაკულტეტის) პერსონალი

1. სკოლაში (ფაკულტეტზე) არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი;
2. სკოლის აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება:
 - ა. პროფესორი;
 - ბ. ასოცირებული პროფესორი;
 - გ. ასისტენტ-პროფესორი;
 - დ. ასისტენტი.
3. აკადემიური პერსონალის არჩევის წესი, მათი უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის დებულებით;
4. სკოლის (ფაკულტეტის) ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება დეკანი და დეკანის მოადგილე;
5. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან სწავლების მენეჯერები და სკოლის საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა პირები.

მუხლი 15. სტუდენტი

სკოლის (ფაკულტეტის) სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და მოდიფიცირების პროცესში. (#04, 12.03.2019)

მუხლი 15. დასკვნითი დებულებები

1. სკოლის (ფაკულტეტის) რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. დებულება ძალაშია სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან;
3. დებულება ძალას კარგავს სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს მიერ ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.